საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/84

ქ. ბათუმი

20 ივლისი 2020 წელი

,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020 წლის შემოდგომისთვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 22 მაისის N01-02/48 ბრძანებაში დამატების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N57 გადაწყვეტილების, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების, ,,2020 წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალური პროგრამის შევსების ვადების განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 14 მაისის MES 22000377275 ბრძანების, ,,2020 წლის საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა/სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და პროფესიულ ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების დადგენის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 20 მაისის MES 32000393457 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2020 წლის 16 ივლისის N607518 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020 წლის შემოდგომისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 22 მაისის N01-02/48 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, დანართი 1-ს დაემატოს მე-5 გრაფა ,,საბიბლიოთეკო საქმე" ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით (დანართი 1).

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის
20 ივლისის N01-02/24 ბრძანების
დანართი 1.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020 წლის საშემოდგომო მიღების გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 22 მაისის N01-02/48 ბრძანებაში დამატების შესახებ

	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით		ადგილების რაოდენობა	მათ შორის ადგილების რაოდენობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის
		ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის		
1	მეფუტკრეობა (III დონე, მოდულური)	60	75	10	13	10	2
2	საფინანსო სერვისები (III დონე, მოდულური)	51	66	8	11	15	3
3	ბუღალტრული აღრიცხვა (V დონე, მოდულური)	99	129	22	27	15	3
4	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (III დონე, მოდულური)	63	78	10	13	19	3
5	საბიბლიოთეკო საქმე (V დონე, მოდულური)	94	124	16	21	20	3
	სულ:					79	14